გეგა სალუქვაძე

ბაბეშ-ბოლაის უნივერსიტეტი, რუმინეთი

2- 6 ივნისის კვირაში, კავკასიის უნივერსიტეტის მედიის სკოლის ლექტორმა და ასისტენტ პროფესორმა გეგა სალუქვაძემ მიიღო მონაწილეობა Erasmus+ მობილობაში აკადემიური პერსონალის მობილობის პროგრამის ფარგლებში ბაბეშ-ბოლაის უნივერსიტეტში, რუმინეთში.

ვიზიტის ფარგლებში, მონაწილემ ლექციები ჩაატარა კომუნიკაციის სკოლის სტუდენტებისთვის. ასევე შედგა შეხვედრები სახელოვნებო სკოლის დეკანთან და მედია არტის პროგრამის ხელმძღვანელთან, სადაც განიხილეს სამომავლო თანამშრომლობის საკითხები. ვიზიტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი იყო შეხვედრა ევროპული კვლევების სკოლის წარმომადგენელთან, რომლის შედეგად სამომავლოდ დაგეგმილია სამეცნიერო თანამშრომლობა ციფრული კომუნიკაციების მიმართულებით, განსაკუთრებული აქცენტით მანიპულაციის თემებზე მიმდინარე ერთობლივ კვლევებზე.

აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის საერთაშორისო გაცვლითი პროგრამა ხელს უწყობს აკადემიური თანამშრომლობის გაღრმავებას, ახალი მეთოდების ათვისებასა და საერთაშორისო ურთიერთობების გაფართოებას.